შპს დიჯითალ სექიურითის საქართველო

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის IV კვარტალი

სარჩევი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ზოგადი ინფორმაცია	7
საოპერაციო გარემო	7
მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
განმარტებითი შენიშვნები	10

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025 წლის	31 დეკემბერი 2024 წლის
ამონაგები		-	-
ამონაგების თვითღირებულება		-	-
სულ საოპერაციო შემოსავალი		-	-
პერსონალის ხარჯები		(64,076)	-
საიჯარო ხარჯი		(6,148)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(335)	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,861)	-
სულ საოპერაციო ხარჯი		(75,420)	-
საპროცენტო შემოსავლები		4,809	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
კურსთა სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)		-	-
სულ არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		4,809	-
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის ზარალი		(70,611)	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ პერიოდის სრული ზარალი		(70,611)	-

ხელმძღვანელობის სახელით

ნატო დავითაშვილი
დირექტორი

შპს „დიჯითალ სექიურითის საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		10,071	-
არამატერიალური აქტივები		5,000	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,071	-
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები		2,059	-
ფული და ფულის ექვივალენტები	1	517,696	-
სულ მიმდინარე აქტივები		519,755	-
მთლიანი აქტივები		534,826	-
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	2	642,399	-
დაგროვილი ზარალი		(37,620)	
პერიოდის ზარალი		(70,611)	-
სულ კაპიტალი		534,168	
ვალდებულებები:			
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		448	-
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		209	-
სულ ვალდებულებები		657	-
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		534,826	-

ხელმძღვანელობის სახელით

ნატო დავითაშვილი
დირექტორი

შპს „დიჯითალ სექიურითის საქართველო“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2025		-	-	-
კაპიტალის გაზრდა	1	642,399	-	642,399
დაგროვილი ზარალი		-	(37,620)	(37,620)
სულ პერიოდის სრული ზარალი		-	(70,611)	(70,611)
ნაშთი 31 დეკემბერი 2025		**642,399**	**(108,230)**	**534,168**

ხელმძღვანელობის სახელით

ნატო დავითაშვილი
დირექტორი

შპს „დიჯითალ სექიურითის საქართველო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები;		(83,129)	-
გადახდილი საიჯარო ხარჯი		(6,148)	-
გადახდილი ხელფასები		(63,824)	
სხვა საოპერაციო ხარჯები		(13,158)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები;		101,358	-
კაპიტალის შევსება	2	96,550	-
საპროცენტო სარგებელი		4,808	-
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები;		(6,665)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(6,665)	-
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება/(კლება)		11,564	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		506,132	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		517,696	-

ხელმძღვანელობის სახელით

ნატო დავითაშვილი
დირექტორი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „დიჯითალ სექიურითის საქართველო“ (შემდეგში „კომპანია“), ს/კ 404727426, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2024 წლის 5 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩა, N1, (ყოფ. ავლევი), ბინა N3, შენობა N3. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „დიჯითალ სექიურითის საქართველო“ ფინანსურ ინფორმაციას.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება.

შპს „დიჯითალ სექიურითის საქართველომ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე პრეზიდენტის 2025 წლის 8 მაისის N 8 განკარგულებით მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია. შესაბამისად კომპანიას 2024 წელს ოპერაციები არ ჰქონია.

კომპანიის დამფუძნებელია:

აქციონერის სახელი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სს „ბროკერი საქართველო“, 404725222	100%	100%

სს „ბროკერი საქართველოს“, 404725222, დამფუძნებელი საკონტროლო წილით არის ფიზიკური პირი ბენეფიციარი ნატიგ კამრანოვ, პ/ნ: FJY5GR, C03509904 (აზერბაიჯანი).

საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითადად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად. კომპანიას აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, რაც დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიას შეეძლება აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ნორმალური საქმიანობის პირობებში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.
ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოური ვალუტები

ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.
ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).
წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კატეგორია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როცა შემოსავლის ოდენობა სანდოდაა განსაზღვრული, სავარაუდოა, რომ სამომავლოდ ეკონომიკური მომგებიანობა აისახება ორგანიზაციაზე და კომპანიის აქტივობებთან დაკავშირებით შესრულდება შესაბამისი კრიტერიუმი. კომპანია ამონაგებს აღიარებს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას.
მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ამონაგები არ ჰქონია.

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარის გადახდებს წრფივი მეთოდით აღიარდებს, როგორც ხარჯს იჯარის პირობების შესაბამისად.
საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ავანსად გადახდილი აქვს საოფისე ფართის იჯარა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.
მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).
დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.
აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

განმარტებითი შენიშვნები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ეროვნული ვალუტა რეზიდანტ ბანკში	517,696	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	517,696	-

2. საწესდებო კაპიტალი

სს „ბროკერი საქართველოს“ მიერ 2025 წლის 6 მაისსა და 24 ივნისს მოხდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანა 500,000 და 27,618 ლარის ოდენობით.
2025 წლის მე-3 კვარტალში, კერძოდ, 3 სექტემბერს კაპიტალი გაიზარდა 18,231 ლარით.

2025 წლის მე-4 კვარტალში სს „ბროკერი საქართველოს“ მიერ კაპიტალი გაიზარდა შემდეგნაირად: 6 ოქტომბერს კაპიტალში შენატანი შეადგენდა 13,585 ლარს, 4 ნოემბერს 20,525 ლარს, ხოლო 8 დეკემბერს, 12 დეკემბერსა და 17 დეკემბერს, კაპიტალის შევსება მოხდა, შესაბამისად, 19,840, 13,500 და 29,100 ლარის ოდენობით.

ხელმძღვანელობის სახელით

ნატო დავითაშვილი
დირექტორი